ბრძანება:ბ03.03200734
თარიღი:13/03/2020

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი - ,,COVID-19" გამოაცხადა პანდემიად, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის სხდომაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობას და ყველა სახელმწიფო უწყებას მიეცა რეკომენდაცია, მაქსიმალურად, შესაძლებლობების ფარგლებში გადავიდეს დისტანციურ შრომის პირობებზე და თითოეული თანამშრომელი, რომლის ადგილზე ყოფნა არ არის აუცილებელი იყოს დისტანციურ რეჟიმში გადაყვანილი. ამასთანავე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა თვითიზოლაციის წესების აღსრულების კონტროლის უზრუნველყოფა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის სხდომაზე გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. სამსახურში არ გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული ის პირი:

ა) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში, საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ბ) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ დაბრუნდება ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან, საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან ჩამოსულ პირთან, ან მასთან ერთად მცხოვრებ პირთან;

დ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი

კორონავირუსი;

ე) რომელსაც აქვს ქრონიკული დაავადება/რაიმე სახის იმუნოდეფიციტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

ვ) რომელიც არის ორსული ქალი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორკვირიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით;

ბ) სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა იმავე პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიუთითოს შესაბამისი პირის ვინაობა და წარმოადგინოს მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. გარდა გადაუდებელი საჭიროებისა, შეიზღუდოს:

ა) სამსახურებრივი მივლინებები;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საბჭოების/ სამუშაო ჯგუფების შეხვედრები.

გ) საჯარო მოსამსახურეთა შესარჩევად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომები;

დ) სხვა საჯარო ღონისძიებების ორგანიზება.

5.მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს ფრაქციებსა და კომისიებს თავი შეიკავონ სამუშაო შეხვედრების ჩატარებისაგან.

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირებს, მათ შორის, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, შესაბამისი ხელმძღვანელი პირების ზეპირი დავალების შემთხვევაში, მიეცეთ უფლება, მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება უზრუნველყონ დისტანციურად (სამსახურში გამოცხადების გარეშე), თუ ამის შესაძლებლობას იძლევა როგორც დაკისრებული ფუნქციის შინაარსი, ასევე ტექნიკური საშუალებები.

7. მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წარმომადგენლობებმა საქმიანობა განახორციელონ დისტანციურ რეჟიმში.

8. ამ ბრძანების პირველი-მე-3 და მე-6-მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში სამუშაო ადგილზე მყოფ ყველა პირს, ეთხოვოს დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები.

9. ამ ბრძანების საფუძველზე, პირის არ გამოცხადება სამსახურში, არ ნიშნავს ამ პირის შვებულებაში ყოფნას. ამ პირებს შეუნარჩუნდეს შრომის ანაზღაურება.

10. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს ამ ბრძანებით გათვალისწინებული პროცესის გამართულად უზრუნველყოფისათვის, შესაბამისი ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში კანონმდებლობით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

CHAIRMAN OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ბრძანება:**ბ03.03201501**

თარიღი:**29/05/2020**

„ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 13 მარტის N ბ03.03200734 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინიატრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 13 მარტის N ბ 03.03200734 ბრძანებაში და:

1. ბრძანების მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-5 და მე-7 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ ბრძანების პირველი-მე-3 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში სამუშაო ადგილზე მყოფ ყველა პირს, ეთხოვოს დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №01-149/ო ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები.“

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში კანონმდებლობით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი